



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ჯონი აფაქიძე 2009 წლის 22-25 ნოემბერს ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ქალაქ კონსტანცის უნივერსიტეტში, რომელიც გერმანიის მოწინავე უნივერსიტეტების რიცხვს მიეკუთვნება.

გერმანული მხარის მიერ შემუშავებული იყო უაღრესად საინტერესო პროგრამა, რომელიც საერთაშორისო საუნივერსიტეტო თანამშრომლობის ფარგლებში ითვალისწინებდა პროფ. ჯონი აფაქიძის შეხვედრებს არა მხოლოდ კონსტანცის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, არამედ ცალკეული ფაკულტეტებისა და სპეციალობების წარმომადგენლებთანაც. სამომავლო თანამშრომლობის ფარგლებში შეხვედრები შედგა ეკონომიკის, კერძო სამართლის, გერმანიისტიკის, აღმოსავლეთ ევროპის, ისტორია - არქეოლოგიის ფაკულტეტების, ინსტიტუტებისა და მიმართულებების დეკანებთან და აკადემიურ პერსონალთან.

24 ნოემბერს, კონსტანცის უნივერსიტეტში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა წაიკითხა მოხსენებას თემაზე: "კულტურული განვითარება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში: კოლხური კულტურა".